

შუალედური სახელმძღვანელო გრიპის ახალი ვირუსის A (H1N1) ეპიდზედამხედველობისთვის

ადამინების გრიპის ახალი A (H1N1) ვირუსის გლობალური ეპიდზედამხედველობის მიზნები

ეპიდზედამხედველობის სპეციფიური მიზნებია გლობალური პრევენციის ჩატარება და მაკონტროლებელი ღონისძიებების განხორციელება შემდეგი ქმედებების საშუალებით:

1. გრიპის ახალი A (H1N1) ვირუსით გამოწვეული შემთხვევების გამოვლენა და დადასტურება;
2. გრიპის ახალი A (H1N1) ვირუსის საერთაშორისო გავრცელების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება;
3. ხელშეწყობა დაავადების კლინიკური და ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების ადრეული შეფასებისათვის.

გრიპის ახალი A (H1N1) ვირუსით გამოწვეული შემთხვევის განსაზღვრება

გრიპის ახალი A (H1N1) ვირუსით გამოწვეული შემთხვევათა სპექტრის უკეთ გასაგებად, საჭიროა შემთხვევათა აღწერა კლინიკური ფორმების მიხედვით. ამისთვის ქვეყანამ უნდა აწარმოოს მინიმუმ პირველი ასი დადასტურებული შემთხვევის დეტალური შესწავლა კლინიკური მახასიათებლების მიხედვით. აღწერა მოიცავს კლინიკურ მახასიათებლებს როგორც მსუბუქი, ასევე საშუალო სიმძიმისა და მძიმე (ქვედა სასუნთქი ტრაქტის ინფექციები, მათ შორის პნევმონია და მწვავე რესპირატორული დაავადება) ფორმებისთვის. ასევე, აღწერილ უნდა იქნას უსიმპტომო, ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევებიც.

შესაძლო შემთხვევის განსაზღვრება:

სიმპტომების გამოვლენამდე 7 დღის მანძილზე ყოფნა იმ ქვეყანაში, სადაც WHO-ს მიერ დადასტურებულია გრიპის ახალი A(H1N1) ვირუსის ადამიანური შემთხვევა და სახეზეა ერთერთი ქვემოთ ჩამოთვლილიდან:

- ცხელება ($> 38^{\circ}\text{C}$);
 - ხველა ან ყელის ტკივილი და/ან კოშინი ან სუნთქვის გაძნელება;
- და ერთერთი ქვემოთ ჩამოთვლილიდან:

- სახსრების და/ან კუნთების ტკივილი;
- თავის ტკივილი;
- შემცივნება და საერთო სისუსტე
- დიარეა და/ან პირღებინება.

სავარაუდო შემთხვევის განსაზღვრება:

გრიპის ახალი A (H1N1) ვირუსის სავარაუდო შემთხვევად მიიჩნევა პირი, რომელიც შეესაბამება შესაძლო შემთხვევის განსაზღვრებას და

- ჩატარებული აქვს გრიპზე გამოკვლევა და ლაბორატორიული ტესტი დადებითია A ვირუსზე, მაგრამ ქვეტიპირება არ ხერხდება იმ რეაგენტებით, რომლებიც გამოიყენება სეზონური გრიპის ვირუსის აღმოსაჩენად.

ან

- A (H1N1)-ის სავარაუდო ან დადასტურებულ შემთხვევებთან ეპიდემიოლოგიური კავშირის მქონე: ა) შემთხვევები რომელნიც შეესაბამებიან შესაძლო შემთხვევის განსაზღვრებას; ბ) ისინი ვინც გარდაიცვალნენ გაურკვეველი მწვავე რესპირატორული დაავადებით,

დადასტურებული შემთხვევის განსაზღვრება:

A (H1N1)-ის შესაძლო ან სავარაუდო შემთხვევა, რომლის ლაბორატორიული კვლევისას მიღებულია დადებითი დამადასტურებელი შემდეგი, ერთი ან მეტი ლაბორატორიული ტესტით*:

- ვირუსის კულტურა;
- მყისიერი RT-PCR;
- ახალი გრიპის A (H1N1) ვირუს სპეციფიკური ანტისხეულების ტიტრის ოთხჯერადი მატება.

გრიპის ახალ A (H1N1) ვირუსულ ინფექციაზე კვლევის ქვეშ მყოფი ინდივიდებისა და კლასტერების შესახებ შეტყობინება

სასწრაფო შეტყობინებას ექვემდებარება:

- ნებისმიერი შესაძლო შემთხვევა;
- მწვავე რესპირატორული დაავადების უჩვეულო კლასტერები

კლასტერის განსაზღვრება

კლასტერი განისაზღვრება, როგორც ორი ან მეტი პირი, აუხსნელი, მწვავე რესპირატორული ინფექციის მანიფესტირებული ფორმით (ტემპერატურა $>38^{\circ}\text{C}$), ან პირი გარდაცვლილი დაუდგენელი რესპირატორული ინფექციით და სიმპტომების დაწყებამდე 14 დღის მანძილზე იმყოფებოდა იმ ქვეყანაში, სადაც WHO-ს მიერ დადასტურებულია გრიპის ახალი A(H1N1) ვირუსის ადამიანური შემთხვევა ან ეპიდემიოლოგიური კავშირი A (H1N1)-ის სავარაუდო ან დადასტურებულ შემთხვევებთან.

ტრიგერები/სიგნალები გრიპის ახალი A (H1N1) ვირუსის შესაძლო შემთხვევების კვლევისათვის

სპეციფიური ტრიგერები მოიცავს:

- დაუდგენელი გრიპის მაგვარი ან მწვავე ქვედა რესპირატორული ტრაქტის დაავადების მქონე შემთხვევათა კლასტერებს;
- მწვავე, დაუდგენელი რესპირატორული დაავადების გამოვლენას ერთ ან მეტ ჯანდაცვის მუშაკში, რომელიც ზრუნავს რესპირატორული დაავადების მქონე პაციენტზე;
- ცვლილებებს სიკვდილიანობის ეპიდემიოლოგიაში, რომელიც დაკავშირებულია გრიპის მაგვარ ინფექციებთან ან ქვედა რესპირატორული ტრაქტის დაავადებებთან;
- მძიმე რესპირატორული დაავადების გავრცელების მატებას ჯანმრთელ მოზარდ და მოზრდილთა პოპულაციაში;
- მუდმივ ცვლილებებს მძიმე ქვედა რესპირატორული ტრაქტის დაავადებათა მკურნალობაში

ეპიდემიოლოგიური რისკ ფაქტორები, რომლის დროსაც ეჭვი უნდა იქნას მიტანილი გრიპის ახალი A (H1N1) ვირუსით გამოწვეულ შემთხვევებზე:

- ახლო კონტაქტი A (H1N1)-ის დადასტურებულ შემთხვევასთან, მისი ავად ყოფნის განმავლობაში;
- ხშირი მონაზიარობა იმ არეალში სადაც იყოს A (H1N1)-ის დადასტურებული შემთხვევები.

*შენიშვნა: გამოკვლევა უნდა იყოს ჩატარებული მიმდინარე პერიოდისთვის მოწოდებული სახელმძღვანელოს მიხედვით.